ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია

მოკლე მიმოხილვა

ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა საქართველოში: კანონმდებლობა, მექანიზმები და სერვისები

შესავალი

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა შემაშფოთებლად მაღალია. ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის საკითხზე 2022 წელს მომზადებული კვლევის თანახმად, ყოველ მეორე ქალს, რომელიც 15-დან 69 წლამდე ასაკის ადამიანების 50.1 პროცენტს შეადგენს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ძალადობა. გარდა ამისა, გასული 12 თვის განმავლობაში, ასეთი ძალადობა ქალების 18.2-მა პროცენტმა განიცადა. წინამდებარე პუბლიკაციაში შეფასებულია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, არსებული მექანიზმები და მხარდაჭერის სერვისები. კვლევაში ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები ამ სისტემების გასაუმჯობესებლად, ძალადობაგამოვლილი პირების უკეთ დაცვის და მომავალში ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, **ოჯახში ძალადობა** გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ამავდროულად, ქალთა მიმართ ძალადობა ყოვლისმომცველად განიხილება: ის ოჯახის ფარგლებს სცდება და საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას მოიცავს.

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველომ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები მიიღო, რითაც აჩვენა, რომ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ასრულებს. აღნიშნული მოიცავს ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებას და შემდგომში ოჯახში ძალადობის კრიმინალიზებას, რაც გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ქვეყნის მიერ განხორციელებულ ძალისხმევაში. გარდა ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. 2017 წელს, საქართველომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ („სტამბოლის კონვენციის“) რატიფიცირება მოახდინა. საკანონმდებლო აქტების მუდმივად განახლების და სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით, საქართველო განაგრძობს საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებას ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის პრობლემის აღიარების და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.



სისხლის სამართლის მექანიზმები: საქართველოში, ოჯახში დანაშაულს წარმოადგენს ნებისმიერი სამართალდარღვევა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით[1] არის გათვალისწინებული, როდესაც ის ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ. ამას გარდა, სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მიჯნავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის კატეგორიაში შედის და ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს გვთავაზობს ამგვარ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები: სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოიყენება, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობაში ასახული პროცედურებით. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ნოემბერში ამოქმედდა დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“.[2] ძალადობაგამოვლილ პირს, რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება, აგრეთვე ამ დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი მსხვერპლის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფოსგან კომპენსაცია არაუმეტეს 10,000 ლარისა იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურება დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ არ ხდება.[3]

ადმინისტრაციული მექანიზმები: ადმინისტრაციული სამართლის მექანიზმები გადამწყვეტ როლს თამაშობს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დგება, მაგრამ პრევენციული მოქმედების განხორციელება არის აუცილებელი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის,[4] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის[5] და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონით გათვალისწინებული დებულებებით,[6] დაზარალებულთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად შემაკავებელი/დამცავი ორდერები გამოიცემა. აღნიშნული ორდერები სწრაფი რეაგირების მექანიზმს წარმოადგენს, მოძალადის ქმედებების შეჩერების და მსხვერპლის კეთილდღეობის დაცვის მიზნით. მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დროებითი დაცვის ღონისძიების სახით იქნას გამოყენებული მსხვერპლის მიმართ, როდესაც მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების სარწმუნო რისკი არსებობს.[7]

დამცავი ორდერი

არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები განისაზღვრება. დამცავი ორდერი ცხრა თვემდე ვადით გაიცემა. მისი მოქმედების ვადას სასამართლო ადგენს.

შემაკავებელი ორდერი

არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომელიც დროებით ზომებს განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად. შემაკავებელი ორდერი ერთ თვემდე ვადით გამოიცემა.

ელექტრონული ზედამხედველობა

შეიძლება დაუწესდეს მოძალადეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, თუ სასამართლოს მიერ იქნება დამტკიცებული; ასევე, მისი დაწესება შეიძლება ნებისმიერ დროს, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაში. ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით.

ინსტიტუციური მექანიზმები

გენდერული თანასწორობის, **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია** არის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უზრუნველყოფს. კომისია 2017 წელს შეიქმნა და მისი წევრები არიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები დარგობრივი სამინისტროებისა და სხვადასხვა სამთავრობო უწყებებიდან მინისტრის მოადგილის დონეზე.

კომისიის ძირითადი ამოცანებია:

- გენდერული მეინსტრიმინგის დამკვიდრების ხელშეწყობა სამთავრობო უწყებებში.
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა.
- პოლიტიკის განხორციელების, მონიტორინგის, შეფასების და მონაცემთა შეგროვების კოორდინაცია, ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით.
- საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების თაობაზე საქართველოს მიერ ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა და ქვეყნის წარმომადგენლობა სამთავრობოთაშორისო პროცესებში.

2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა, რომელიც ანგარიშვალდებულებას და სამართლებრივ მექანიზმებთან შესაბამისობას უზრუნველყოფდა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დეპარტამენტის ინიციატივებს შორის იყო:

- რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება
- შემაკავებელი ორდერების გამოცემის პროცედურების ფარგლების გაზრდა
- ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვა

2018 წლიდან მოყოლებული, ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამუშაოდ **სპეციალიზებული პროკურორები** განისაზღვრნენ, ხოლო 2021 წელს ამ საქმეებს სექსუალური ძალადობის შემთხვევებიც დაემატა. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო მართლმსაჯულებაზე წვდომის გაზრდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო გადამწყვეტ როლს თამაშობს ეროვნული რეფერირების პროცედურების ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის დაძლევაში. მის უფლებამოსილებაში ისეთი არსებითი სერვისების უზრუნველყოფა შედის, როგორიცაა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები და მსგავსი სახის დახმარებები მსხვერპლთათვის, ვისაც დაცვა და მხარდაჭერა სჭირდება. გარდა ამისა, სააგენტოს ევალება ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, მსხვერპლთა ინფორმირება თავიანთი უფლებების, ასევე დაცვის და დახმარების არსებული მექანიზმების შესახებ და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება უფლებამოსილ პერსონალთან თანამშრომლობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2015 წლიდან ახორციელებს მოძალადის ქცევის კორექციის სპეციალიზებულ პროგრამას, რომელიც პრობაციის სამსახურების მეშვეობით ამოქმედდა და 2019 წლიდან უკვე სასჯელაღსრულების რვა დაწესებულებაში არის დანერგილი. თუმცა, ამ პროგრამაში მოძალადეთათვის ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. საქართველოში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებში მონაწილე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებს მიღმა მყოფი პირებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველი გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში. სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგს უწევს გენდერული ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კანონმდებლობის განხორციელებას და სერვისების მიწოდებას. 2016 წელს სახალხო დამცველმა „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი“ შექმნა, რომელიც უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს ფემიციდის შემთხვევების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაში.

სახალხო დამცველის მთავარი ამოცანებია:

- ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ზედამხედველობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.
- გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრაციის მხარდაჭერა სახალხო დამცველის მიერ განხორციელებულ ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებებში.
- ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის არსებული სპეციალიზებული სერვისების მონიტორინგი.
- გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოში.

მხარდაჭერის სერვისები

გადაუდებელი სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ დარეკონ სპეციალურად გამოყოფილ ცხელ ხაზებზე, სადაც დახმარების და კონსულტაციის მიღება დღე-ღამის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. საგანგებო სიტუაციების ძირითადი ნომერი "112" მყისიერ დახმარებას უწევს კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს. ამას გარდა, მსხვერპლებს და დაინტერესებულ პირებს მხარდაჭერისა და კონსულტაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ცხელ ხაზზე "116 006", სადაც მომსახურების მიღება რამდენიმე ენაზეა შესაძლებელი. ასევე, ფუნქციონირებს ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი "111", სადაც შესაძლებელია ბავშვებისგან სატელეფონო ზარების მიღება ძალადობის ან ბავშვის უფლებების სხვა სახის დარღვევის შემთხვევაში და უზრუნველყოფილია ყოვლისმომცველი მხარდაჭერა.

112 SOS

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს მობილური აპლიკაცია **„112 საქართველო"** ჩუმი განგაშის გაგზავნას სთავაზობს **SOS ღილაკზე** დაჭერით, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ გაგზავნონ ინფორმაცია თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ პოლიციაში მაშინ, როცა პირდაპირ დარეკვა უსაფრთხო არ არის.

ბოლო წლებში ცხელი ხაზების გამოყენება უფრო აქტიური გახდა ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1:
ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული შეტყობინებების რაოდენობა - 112-ზე და 116 006-ზე შემოსული ზარები



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

საქართველოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს/ძალადობაგამოვლილ პირებს ხელი მიუწვდებათ სპეციალიზებულ თავშესაფრებზე, რომლებიც ყოვლისმომცველი სერვისებით არის აღჭურვილი. თავშესაფრებში ან კრიზისულ ცენტრებში განთავსების პერიოდში მსხვერპლებს სამსახური უნარჩუნდებათ. მაგალითად, საჯარო სამსახურის ბიურომ ახალი პოლიტიკა დანერგა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამუშაო ადგილზე დასაცავად და მხარდასაჭერად. ბიუროში უზრუნველყოფილია დამსაქმებლებისთვის უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და ოჯახში ძალადობის თემაზე ტრენინგების რეგულარულად გამართვა პერსონალისა და მმართველი რგოლისთვის.[8]

გარდა ამისა, თავშესაფრებში მოთავსებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება, ასევე, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური დახმარება. თავშესაფარში განთავსება ასევე მოიცავს საკვების თუ ჰიგიენური საშუალებების მიწოდებას და სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას ყოველმხრივი დახმარების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად, საქართველოში სახელმწიფოს მხარდაჭერით ხუთი თავშესაფარი და შვიდი კრიზისული ცენტრი ფუნქციონირებს, რაც მსხვერპლებისთვის ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვან დახმარებასა და რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფს (დიაგრამა 2).

კრიზისული ცენტრები სასიცოცხლო რესურსს წარმოადგენს დაზარალებული პირებისა და მათი ოჯახებისთვის. კრიზისული ცენტრები შემდეგ მომსახურებას უზრუნველყოფს:

- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია/დახმარება
- სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა/მიღება
- იურიდიული დახმარება/წარმომადგენლობა
- საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურება

დიაგრამა 2:
თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების ბენეფიციარების რაოდენობა



წყარო: სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.
შენიშვნა: სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ინფორმაციით, 2022 წელს ბენეფიციართა სტატისტიკის კლება აიხსენება ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავებით, რომლის მიხედვითაც, ყველა მომსახურების ცენტრში, 2022 წლიდან აღირიცხება უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა და არა გაწეული მომსახურებების რაოდენობა.



იურიდიული დახმარება

იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოში გადამწყვეტ როლს ასრულებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის უფასო იურიდიული დახმარების მიწოდებისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, იურიდიული კონსულტაციების, დოკუმენტების მომზადებაში დახმარებისა და სასამართლოში წარმომადგენლობის მეშვეობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მომსახურება ამჟამად მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებზე ვრცელდება, ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები ამ სერვისით ვერ სარგებლობენ.

რეკომენდაციები

- **კანონმდებლობის შეცვლა, რათა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში „სტამბოლის კონვენციასთან“, რისთვისაც საჭიროა:**
  - თანხმობის კომპონენტის ინტეგრირება სექსუალური ძალადობის განმარტებაში.
  - საკანონმდებლო მექანიზმის შემოღება დაზარალებულთა დისტანციურად გამოკითხვისა და ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ, ძალადობაგამოვლილი პირების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დასაცავად.
  - უფასო იურიდიული დახმარების შესახებ არსებული დებულების გადახედვა, რათა ის ასევე ხელმისაწვდომი გახდეს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებისთვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე და სრულფასოვანი დაცვა ყველა ძალადობაგამოვლილი პირისთვის.
- მკაფიო გაიდლაინების და სასწავლო პროგრამების შემუშავება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლებისთვის, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან კომუნიკაციაზე, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და ლგბტქი+ პირებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს სამართალდამცავი უწყებების მგრძნობელობის გაზრდას, ასევე მსხვერპლთა მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.
- მიზნობრივი კამპანიების დაწყება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, რათა მოქალაქეები, განსაკუთრებით სოფლად და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები პირები, ეთნიკური უმცირესობები, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ინფორმირებულები იყვნენ არსებული დაცვის მექანიზმების და რეგულაციების შესახებ.
- ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ფემიციდის და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პრევენციული ზომები, ადრეული გაფრთხილების სისტემები და საზოგადოების ჩართულობა.
- ძალადობაგამოვლილი პირებისთვის მხარდაჭერის გააქტიურება გრძელვადიანი დახმარების, გაძლიერების პროგრამების და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფით.
- ძალადობრივი ქცევის კორექციის სავალდებულო პროგრამების დანერგვა, რომლებიც სპეციალურად იქნება შემუშავებული ქალთა მიმართ/ოჯახში მოძალადეებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვის მიმართაც შემაკავებელი ან დამცავი ორდერები იყო გაცემული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/en/document/view/16426?publication=259.
2. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი (2022). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5611339?publication=0.
3. იქვე.
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (1999). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე https://www.matsne.gov.ge/en/document/view/16492?publication=97.
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=545
6. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (2006). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.matsne.gov.ge/en/document/view/26422?publication=18.
7. იქვე
8. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის გაიდლაინები (19 სექტემბერი, 2023წ.), მიღებულია საჯარო სამსახურის ბიუროს 1043/სა დადგენილებით.